რი სხეულებისათვის, რომლებიც შეიცავენ მეტალურ და პიეზოელექტრულ მდგენელებს და რომელთაც გააჩნიათ შიგა ბზარები და ბზარები საკონტაქტო ზედაპირზე. პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდოდოფერენციალური განტოლებების თეორიის გამოყენებით გამოკვლეულია ამონახსნების ერთადერთობისა და არსებობის საკითხები და შესწავლილია ამონახსნების სივლენა. გამოკვლეულია თერმომექანიკური და ელექტრო-მაგნიტური ველების ძირითადი მახასიათებლების სინგულარობის თვისებები და ცხადადაა დადგენილი სინგულარობის მახვენებლების მატერიალურ მუდმივებზე დამოკიდებულება. დეტალურადაა გაანალიზებული რხევად სინგულარობებთან დაკავშირებული საკითხები.

წარმოდგენილი ნაშრომი ანზოგადებს [1] შრომაში მიღებულ შედეგებს.

### ლიტერატურა

1. T. Buchukuri, O. Chkadua, D. Natroshvili. Mixed boundary value problems of thermopiezoelectricity for solids with interior cracks, Integral Equations and Operator Theory, 64(4): 495-537 (2009)

### წრფივი დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ეკვივალენტური წარმოდგენა რამოდენიმე შეღარებით მარტივი სასაზღვრო ამოცანის სუპერპოზიციით

გ. ნოზაძე\*, მ. ლოსაბერიძე\*, ნ. ხომასურიძე\*\*


\* გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

\*\* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

როგორც ცნობილია, წრფივი დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ინტეგრება და ანალიზურ ამონახსნთა მიღება ზოგადი დასმის შემთხვევაში ვერ ხერხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წრფივი დერეკალობის თეორიის ფარგლებში შესაძლებელია გამოიყოს სასაზღვრო ამოცანების კლასი, რომელთათვისაც განსახილველი სასაზღვრო ამოცანა შესაძლებელია წარმოდგეს, რამოდენიმე შედარებით მარტივად გადასაწყვეტი ამოცანების ეკვივალენტური სუპერპოზიციის სახით.

ნაშრომში ორ განზომილებიანი წრფივი დერეკალობის თეორიის სასაზღვრო ამოცანის მაგალითზე მოცემულია ეკვივალენტურ სასაზღვრო ამოცანათა სუპერპოზიციის სახით წარმოდგენის შესაძლებლობა. დადგენილია ამისათვის აუცილებელი მოთხოვნები დასმულ და სუპერპოზიციის შემავალ ამოცანების სასაზღვრო პირობებისათვის.



**ნახ. 1** დერეკალობის თეორიის ორგანზომილებიანი ამოცანის წარმოდგენა რამოდენიმე ეკვივალენტური ამოცანის სუპერპოზიციის სახით

**პუასონისა და კირჭოვის განტოლებათა  
სისტემისთვის საკონტაქტო ამოცანის რიცხვითი  
ამოხსნის შესახებ**

არჩილ პაპუკაშვილი, ჯემალ როგავა, ზურაბ ვაშაკიძე  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი,

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო,


apapukashvili@rambler.ru, archil.papukashvili@tsu.ge,  
jemas.rogava@tsu.ge, zurab.vashakidze@gmail.com

როგორც ცნობილია აქტუალური ამოცანაა რთული გეომეტრიის მქონე კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა. შესაბამისი რიცხვითი გათვლის ალგორითმების აგება, გამოკვლევა და კომპიუტერული რეალიზაცია.

ნაშრომში რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის (იხ. ნახ.1) დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა. კერძოდ განხილულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა: მართკუთხედის ფორმის ორი მემბრანა შეერთებულია სიმით; მემბრანისათვის ვიხილავთ კლასიკურ წრფივ სასაზღვრო ამოცანას (პუასონის განტოლებებისთვის), ხოლო სიმისთვის კირჭოვის ტიპის არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებას(იხ. მაგ. [1],[2]).

ზემოაღნიშნული მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესასწავლად ვიყენებთ რიცხვით მეთოდებს, კერძოდ სასრულ-სხვაობიან მეთოდს. კვანძით წერტილებში მემბრანის ჩაღუნვის ფუნქციის საპოვნელად ვიყენებთ პირდაპირ რიცხვით მეთოდებს, ხოლო სიმისათვის ჩაღუნვის ფუნქციის რიცხვითი მიშვნელობების საპოვნელად კირჭოვის არაწრფივი განტოლების მიახლოებითი ამოხსნისათვის - იტერაციულ მეთოდს.

შექმნილია სათვლელი პროგრამა Matlab-ში და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.



ნახ. 1

**მადლობა.** ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის #30/28 გრანტის ფარგლებში.

### ლიტერატურა


1. Kirchoff G. Vorlesungen uber Mechanik. Teuner, Leipzig, 1883.
2. Peradze J. A numerical algorithm for the nonlinear Kirchhoff string equation. Numer. Math. 2005, 102, pp. 311-342.

### ბაბირ-ღეროვანი სტრუქტურების მოდელირებისა და გაანგარიშების ზოგი საკითხი

დ. პატარაია, ე. წოწერია, ა. ქართველიშვილი, რ. მაისურაძე  
 გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

დისკრეტული მოდელის საფუძველზე განხილულია რთული ბაბირ-ღეროვანი სტრუქტურის მოდელირებისა და გაანგარიშების ზოგი აქტუალური საკითხი. კერძოდ: სიმძიმის ველში განლაგებული თაროს ფორმის ორმხრივ ყრუდ ჩამაგრებული ბოლოთი ღეროს გაანგარიშება. შედეგების

საიმედობის შემოწმების მიზნით ეს ამოცანა გადაწყვეტილია აგრეთვე სასრულ ელემენტთა მეთოდზე დაფუძნებული სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის - „ლირა 9.6“- ის გამოყენებით. გარდა აღნიშნული ამოცანისა, ასევე ორივე მიდგომის საფუძველზე, გამოკვლეული და გაანგარიშებული იქნა რეალური რთული ბაგირდეროვანი სტრუქტურა - ვანტური საბაგირო ხიდი. იხ. ნახაზი.



ნატარებული კვლევების შედეგები, აგრეთვე ამ შედეგების შემოწმება ლაბორატორიულ სტენდზე იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შემოთავაზებული მიდგომა კონკურენტუნარიანია და პერპექტიულია მსგავსი რთული ბაგირ-დეროვანი სტრუქტურების (ობიექტების)  $f_{org}$  და  $f_{sum}$  გაანგარიშებისას.

$f_{bag}$

$f_{max}$

188.96 m

61

283.4

99.45 m

12

**არაწრფივი სტატიკური ძელის ამოცანის ამოხსნის  
ცდომილება**

ჯემალ ფერაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო, j\_peradze@yahoo.com

განვიხილოთ არაწრფივი დიფერენციალური განტოლება

$$u^{iv}(x) - m \left( \int_0^L u'^2(x) dx \right) u''(x) = f(x), \quad (1)$$

$$0 < x < L, \quad m(\lambda) \geq \text{const} > 0, \quad 0 \leq \lambda < \infty,$$

სასაზღვრო პირობებით

$$u(0) = u(L) = 0, \quad u''(0) = u''(L) = 0. \quad (2)$$

(1) განტოლება უკავშირდება ჰიმვადი დინამური ძელის ლუნვის მოდელათ Woinowsky-Krieger-ის მიერ შემოთავა-

ზებულ  $u_{tt} + u_{xxxx} - \left( c_0 + c_1 \int_0^L u_x^2 dx \right) u_{xx} = 0$

განტოლებას. (1), (2) ამოცანისათვის დამტკიცებულია ამონახსნის არსებობა და აგებულია რიცხვითი ალგორითმი. გალიორკინის მეთოდის გამოყენების შედეგად მოღებული არაწრფივი განტოლებათა სისტემა იხსნება ნიუტონის იტერაციული პროცესის საშუალებით. დამტკიცებულია თეორემა ალგორითმის სრული ცდომილების შესახებ.

განხილულია ასევე უფრო ზოგადი ვიდრე (1) განტოლება

$$u^{iv}(x) - m \left( \int_0^L u'^2(x) dx \right) u''(x) = f(x, u), \quad (3)$$

$$0 < x < L, \quad m(\lambda) \geq \text{const} > 0, \quad 0 \leq \lambda < \infty.$$

ამოცანა (3), (2) დაყვანილია ეკვივალენტურ არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებად, რომლის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი. დამტკიცებულია მეთოდის კრებადობა და მიღებულია ცდომილების შეფასება.



**გეგმაში მართკუთხა ღამრეცი ბარსებისა და ფილების  
ბამოკვლევა საყრდენთა ჯდენისას მასალის  
ცოცვალობის ბათვალისწინაბით**

მურად ყალაბეგაშვილი, დემურ ტაბატაძე  
კოტე იაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, muradkalabegashvili@yahoo.com,  
demuritabatadze@yahoo.com

სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კონსტრუქციისა და ფუძის ერთობლივი მუშაობის გათვალისწინების საკითხს. აქედან გამომდინარე საინტერესოა ამ გავლენის შესწავლა, რასაც კონსტრუქცია განიცდის გრუნტის თვისებების ცვლილების შედეგად. ეს უკანსაკნელი შეიძლება გამოწვეული იყოს მისი დასველებით, სეისმური ზემოქმედებით და სხვა. აღნიშნულ ფაქტორებს მივყავართ ექსპლოატაციის პროცერსში კონსტრუქციის მუშაობის პირობების ცვლილებასთან, რაც შეიძლება გამოხატული იყოს მისი ფუძის არათანაბარი ჯდენით. ჯდენები იწვევს დაძაბულდეფორმირებული მდგომარეობის შეცვლას, მაქსიმალურად დაძაბული კვეთის მდებარეობისა და მაქსიმალური ძაბვებისა და დეფორმაციების სიდიდეების ცვლილებას. ამასთანავე, რადგან საკითხი ისმის ექსპლუატაციაში მყოფი კონსტრუქციის მუშაობის პირობების ცვლილებაზე, საჭიროა გათვალისწინებით-ვალისწინებული იყოს დროისა და გარემოს პირობების გაელენა მასალის მექანიკურ თვისებებზე. არათანაბრი ჯდენის თაობაზე კი საჭიროა აღინიშნოს, რომ მათ შეიძლება ჰქონდეს იმდენად არარეგულარული ხასიათი, რომ გამოიწვიონ გარკვეული სიძნელეები სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილების დროს.

გამოყენებულია მ. კოლტუნოვის მიერ მიღებული კარმან-ვლასოვის არაწრფივი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ანალოგიური სისტემის ამონახსნები. ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით აგებულია

რელაქსაციის მრუდის შესაბამისი ცოცვადობის მრუდის გამოსახულება და მის საფუძველზე გამოთვლილია მაქსიმალური მღუნავი მომენტის მნიშვნელობები საყრდენთა ჯდენებისას.

შემოთავაზებულია წრფეთა მეთოდის ინტეგრალური ვარიანტის გამარტივებული სქემა. დამუშავებულია შესაბამისი ალგორითმი და პროგრამა, რომელთა საფუძველზედაც გამოკვლეულია დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა მართკუთხა ფილების, ცილინდრული და ორმაგი სიმრუდის გარსების, კონსტრუქციის გვერდების ჯდენის, სხვადასხვა შემთხვევებისთვის. აგებულია შესაბამისი ეპიურები.

### ლიტერატურა

1. მ. მიქელაძე თხელკედლიანი სივრცული სისტემების გაანგარიშების საფუძვლები. თბილისი, 1980წ. გვ. 255
2. რ. შოსტაკი. ოპერციული აღრიცხვა. თბილისი: განათლება, 1976 წ. გვ. 384.
3. П.М. Огибалов, М.А.Колтунов. Оболочки и пластинки. М., 1969 г. ст. 546.
4. М.Ш. Микеладзе. Некоторые задачи строительной механики. М.-Л., 1948, ст. 315

**სახელმწიფო მუდმივი სიჩქარით მოძრაში დატვირთვით  
ბამოწვეული ორთოტროპული ნახევარსიბრტყის  
შეფოთება**


გელა ყიფიანი\*, მარინა ლოსაბერიძე\*\*

\*“განათლებისა და მეცნიერების პროგრესი”, თბილისი,  
საქართველო, gelakip@gmail.com


\*\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
მინდელის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი, თბილისი,  
საქართველო, marinalosaberidze@rambler.ru

განხილულია დრეკადობის თეორიის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა იმ შემთხვევაში, როდესაც ორთოტროპული ნახევარსიბრტყის საზღვარზე მუდმივი სიჩქარით მოძრაობს გარკვეული ფორმის შტამპები.

აღნიშნული საკონტაქტო ამოცანა დაყვანილია დრეკადობის თეორიის შერეული ტიპის სასაზღვრო ამოცანაზე. გადაადგილების ვექტორის და ძაბვის ტენზორის კომპონენტები წარმოდგენელია ორი ანალიზური ფუნქციის საშუალებით. მათთვის დაწერილია სასაზღვრო პირობები, რასაც მიყვავართ დირიხლეს ამოცანამდე, რომლის ამონახსნი მიღებული შვარცის ინტეგრალით. ანალიზურად მიღებულია ძაბვისა და გადაადგილების კომპონენტების გამოსათვლელი ფორმულები და აგებულია ნორმალური ძაბვების ჯამის და მხები ძაბვის მოდულის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები (იხ. ნახ. 1, 2).



ნახ. 1.  $\sigma_x + \sigma_y$



ნახ. 2.  $\tau_{xy}$

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დრეკადი ორთოტროპული ნახევარსიბრტყის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა არსებითად დამოკიდებულია როგორც ნახევარ-სიბრტყის ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებზე, აგრეთვე საზღვარზე მოძრავი შტამპების კონფიგურაციასა და ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებზე. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა კონსტრუქციებში საკონტაქტო არეში და თვით სხეულში აღძრული დაძაბული მდგომარეობის შესასწავლად. აგრეთვე, საბურღი მანქანების და ქანის დინამიკური ურთიერთქმედებისას მიმდინარე პროცესების შესასწავლად.

### **ბლანტიდრეკადობის საკონტაქტო ამოცანების ამოხსნა ღრეკადი ჩართვის მქონე ფირფიტებისათვის**

ნუგზარ შავლაყაძე  
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო  
nusha@rmi.ge

აგებულია ეფექტური ამონახსნები ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისა, რომლებიც დაკავშირებულია ბლანტიდრეკადობის საკონტაქტო ამოცანებთან ცოცვადობის თვისებების მქონე თხელი დრეკადი სასრული ჩართვისა და ბრტყელი ფირფიტის ურთიერთქმედების შესახებ. როდესაც ჩართვის გეომეტრიული პარამეტრები იცვლება პარაბოლური და წრფივი კანონით, გამოკვლეულია ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შესაბამისი სასაზღვრო ამოცანები და დადგენილია უცნობი საკონტაქტო ძაბვების ყოფაქცევა დრეკადი ჩართვის ბოლოების მახლობლობაში.

**ფოროვან ცილინდრებს შორის სითხის დინებების  
არამდგრადობისა და ტურბულენტობაში გადასვლის  
შესახებ**

ლუიზა შაფაქიძე

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი  
ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

მოსხენებაში წარმოდგენილია ავტორის მიერ შესწავლილი, ფილტრაციის პრობლემებთან დაკავშირებული მდგრადობის თეორიის ზოგიერთი კონკრეტული ამოცანა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ტურბულენტურ მოძრაობაში გადასვლასთან.

სახელდობრ,

- ა) დადგენილია, რომ ბრუნავ ფოროვან ცილინდრებს შორის ბლანტი უკუმში სითხის დინება, როდესაც მასზე მოქმედებს რადიანული წნევის გრადიენტი კარგავს მდგრადობას და წარმოიქმნება მეორადი სტაციონარული, ან რხევითი, დროზე დამოკიდებული დინებები. შესწავლილია ასეთი დინებების არამდგრადობის საკითხები და მათი გადასვლები უფრო რთული რეჟიმებისაკენ.
- ბ) შესწავლილია არამდგრადობები და გადასვლები ქაოსურ მოძრაობაში ორ ფოროვან ცილინდრს შორის სითბოგამტარი სითხის დინებაში, როდესაც მასზე მოქმედებს როგორც რადიანული წნევის, ასევე ტემპერატურული გრადიენტი. დადგენილია სტაციონარული ბიფურკაციის საკმარისი პირობები.
- გ) განხილულია ფოროვან ცილინდრებს შორის სითხის დინების მდგრადობის საკითხები, როდესაც დინებაზე მოქმედებს როგორც რადიანული, ასევე ტრანსვერსალური წნევის გრადიენტი. შესწავლილია ის კვაზიპერიოდული დინებები, რომლებიც წარმოიშვებიან ძირითადი დინების თანდათანობითი ბიფურკაციის შედეგად.

გამოკეცულია სითხის დინების მდგრადობის დაკარგვის შედეგად წარმოქმნილი მეორადი დინებები და მათი ბიფურკაციები იმ შემთხვევაში, როდესაც ფოროვან ცილინდრებს შორის სითხის დინებაზე მოქმედებს რადიანული და ღერძული წნევის გრადიენტი.

**უღს ელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების თვითშენარჩუნება მაგნიტოსფეროს კუდში BBF დინებისას: მონაცემთა ანალიზი**

ხათუნა ჩარგაზია<sup>1,2</sup>, ო. ხარშილაძე<sup>2</sup>, გ. ზიმბარდო<sup>3</sup>  
<sup>1</sup>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,  
<sup>2</sup>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

მ. ნოდias გეოფიზიკის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო, khatuna.chargazia@gmail.com

<sup>3</sup>კალაბრიის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი,  
რენდე, იტალია, gaetano.zimbardo@fis.unical.it

ნაშრომი ეძღვნება დიდმასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის (უღს) ელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების არაწრფივი დინამიკის შესწავლას მაგნიტოსფეროს კუდის არეში BBF (Bursty Bulk flow – მაგნიტური ძალწირების გადაერთებით განპირობებული პულსირებადი სწრაფი პლაზმური ნაკადი) დინებისას. განხილული უღს შემფოთებები თვითორგანიზდებიან არაწრფივი სოლიტონური გრიგალური სტრუქტურების სახით შემფოთებათა ფრონტის არაწრფივი ზრდით შედეგად. BBF წანაცვლებითი დინებების სინქარეთა პროფილის მიხედვით არაწრფივი გრიგალური სტრუქტურა შესაძლებელია იყოს მონოპოლური, დიპოლური გრიგალი, გრიგალების ბილიკი ან ჟაჭვი. ეს უღს გრიგალები წარმოადგენენ

მულტიმასშტაბურ სტრუქტურებს. განხილულია უკუმშვადი გრიგალების აღმწერი თეორიული მოდელის სტაციონალური ანალიზური ამონახსნები და მათი ძირითადი თავისებურებები. ასევე გაანალიზებულია მოცემული ელექტრომაგნიტური უღს სტრუქტურებისა და ასეთი გრიგალების ანსამბლის სივრცული სპექტრალური თვისებები. ნაჩვენებია, რომ მაგნიტოსფეროს კუდში ექსპერიმენტალურად დამზერილი დინებების სპექტრი შესაძლებელია ახსნილ იქნას ასეთი გრიგალების ანსამბლის მოდელით. ამისათვის შესწავლილია “THEMIS” მისიის მიერ 2008 წლის 19 თებერვლის ქვეშტორმული მოვლენებისას მაგნიტოსფეროს კუდის არეში დინების კინემატიკური და მაგნიტომეტრული გაზომვების შედეგები. აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ სიმძლავრის სპექტრალური სიმკვრივე დამოკიდებულია მაგნიტური შტორმის განვითარების ეტაპზე. გაანალიზებულია გრიგალების სივრცითი და დროითი ჩაქრობის ხასიათი. შეფასებულია ამ პროცესის მახასიათებელი დრო. BBF წანაცვლებითი დინება წარმოადგენს ენერგიის წყაროს განხილული გრიგალებისათვის, რომლებიც თვითშენარჩუნდებიან გარემოში აღნიშნული BBF ნაკადის არსებობისას და მისი შეწყვეტის შემდეგაც. ამ გრიგალებს გადააქვთ გარემოს ჩატერილი ნაწილაკები, ენერგია და სითბო. ამრიგად, ისინი წარმოადგენენ გარემოს ტურბულენტური მდგომარეობის სტრუქტურულ ელემენტებს.

**მაღლობა.** წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში მოპოვებული №31/14 გრანტით.

**მექანიკური ძალოვანი რბოლის კონსტრუქცია  
პარაბოლური კონუსური რეფლექტორისათვის.**

კონსტანტინე ჩხიკვაძე\*, შოთა ნიუარაძე\*  
ლალი ქაჯაია\*\*\*

\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, [kote\\_ch@mail.ru](mailto:kote_ch@mail.ru)

\*\*\*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო [gajaja@gmail.com](mailto:gajaja@gmail.com)

ნაშრომში წარმოდგენილია ჩასატეხ ღეროებიანი ტრანსფორმირებადი ჩაკეტილი ჯაჭვური სისტემა, რომელიც იმდებარეობს კონუსურ ზედაპირზე. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სექციების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ორიგინალური სქემაა მოფიქრებული, რომელიც დამატებითი სინქრონიზაციის ელემენტების არსებობას არ ითვალისწინებს. ანუ, სისტემა ხასიათდება ბუნებრივი სინქრონიზაციით. კინემატიკური ანალიზი ჩატარებულია რეგულარული კვანძების სტრუქტურულ ელემენტებზე. დადგენილია კინემატიკური მოძრაობის ხარისხი და განსაზღვრულია ბერკეტული მექანიზმების მდებარეობათა ფუნქციები. გამოთვლით პროგრამა ANSYS-ში აგებულია შესაბამისი მათემატიკური პარამეტრული მოდელი, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული რეალურთან. გაანგარიშებები ჩატარებულია წინასწარდაძაბვაზე, კონსტრუქციის ელემენტებში აღძრული ძალების შესწავლის მიზნით. დადგენილია დინამიკური მახასიათებლები და თეორიული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით კონსტრუქციაში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები. საბოლოოდ მიღებულია საკმაოდ მსუბუქი და ხისტი სისტემა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საანტენო ტექნიკისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.

**ლიტერატურა**

1. Levitski N.I. "Theory of Machines and Mechanisms". Moscow, Nauka, 592 p., 1990 (in Russian).
2. Sh. Tserodze, J. Santiago Prowald, van't Klooster C.G.M., E. Logacheva. "Spatial Double Conical Ring-Shaped Reflector for



Space Based Application”. Proceedings of 33rd ESA Antenna Workshop “Challenges for Space Antenna Systems”. 18 - 21 October 2011. ESTEC, Noordwijk, The Netherlands.

3. Sh. Tserodze, E. Medzmariashvili, N. Tsignadze, O. Tusishvili, J. Santiago-Prowald, H. Baier, L. Scialino, C.Mangenot. “The structure of conical reflector with v-fold bar’s deployable ring”. Proceedings of International Scientific Conference “Workshop on large deployable antennas”. 2-3 October 2012. ESTEC, Noordwijk, The Netherlands.
4. E. Medzmariashvili, Sh. Tserodze, V. Gogilashvili, A. Sarchimelia, K. Chkhikvadze, N. Siradze, N. Tsignadze, M.Sanikidze, M. Nikoladze, G. Datunashvili. “New variant of the deployable ring-shaped space antenna reflector”. IOS Press, “Space Communications”, An International Journal, Impact Factor: 0.08, #1 (22), pp. 41-48, October 2009. <http://iospress.metapress.com/content/k13638701327>

## წამახვილებული პრიზმული ბარსების ბათვისის ზოგიერთი მეთოდის შესახებ

ნატალია ჩინჩალაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი & ზუსტ  
და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი,  
საქართველო, [chinchaladze@gmail.com](mailto:chinchaladze@gmail.com)

სხეულს, რომელიც ზემოდან და ქვემოდან შემოსაზღვრულია

$$x_3 = h^{(+)}(x_1, x_2) \text{ და } x_3 = h^{(-)}(x_1, x_2),$$

ზედაპირებით, ხოლო გვერდიდან  $x_3$ -ღერძის პარალელური მსახველის მქონე ცილინდრული ზედაპირით, პრიზმული გარსი ეწოდება. სიდიდეს

$$2h(x_1, x_2) = h^{(+)}(x_1, x_2) - h^{(-)}(x_1, x_2)$$

ეწოდება გარსის სისქე.

ი. ვეკუას იერარქიული მეთოდის [1-4] გამოყენებით [5]-ში აგებულია იერარქიული მოდელები დრეკადი პრიზმული გარსების შემდეგი მოდელებისთვის:

**მოდელი 2.** გარსის პირის ზედაპირზე მოცემულია

$$u_i(x_1, x_2, h(x_1, x_2), t), \quad i = 1, 2, 3.$$

**მოდელი 3.** გარსის პირით ზედაპირზე მოცემულია

$$u_\alpha(x_1, x_2, h(x_1, x_2), t), \quad \alpha = 1, 2,$$

$$Q_{\nu_3}^{(\pm)}(x_1, x_2, h(x_1, x_2), t) = X_{3\beta}^{(\pm)}(x_1, x_2, h(x_1, x_2), t) \nu_\beta$$

$$+ X_{33}^{(\pm)}(x_1, x_2, h(x_1, x_2), t) \nu_3.$$

$$u_i(x_1, x_2, x_3, t), \quad X_{ij}(x_1, x_2, x_3, t), \quad \text{და} \quad e_{ij}(x_1, x_2, x_3, t)$$

( $i, j = 1, 2, 3$ ) აღნიშნავს შესაბამისად წრფივი სამგანზომილებიანი თეორიის გადაადგილების ვექტორის, ძაბვისა და დეფორმაციის ტენზორების კომპონენტებს.

წინამდებარე მოხსენება ეხება ვარიაციული ფორმულირებით დასმული ამოცანების ამონახსნის შესაბამის წონიან სივრცეში არსებობის და ერთა-ერთობის საკითხების გამოკვლევას.

**მაღლობა.** ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის №დ-13/18 გრანტის ფარგლებში.

### ლიტერატურა

1. Vekua I.N. On one method of calculating of prismatic shells. (Russian) Trudy Tbilis. Mat. Inst., 21 (1955), 191-259.
2. Vekua I.N. Shell Theory: General Methods of Construction. Pitman Advanced Publishing Program, Boston-London-Melbourne, 1985.
3. Jaiani G. Cusped Shell-like Structures. Springer Briefs. Springer-Heidelberg-Dordrecht-London-New York, 2011.
4. Chinchaladze N. Harmonic vibration of cusped plates in the N-th approximation of Vekua's hierarchical models. Archives of Mechanics, 65, 5 (2013), 345-365
5. Jaiani G. Hierarchical models for prismatic shells with mixed conditions on face surfaces, Bulletin of TICMI, 17, No. 2 (2013), 24-48

## დრეკადობის ბმული თეორიის სასაზღვრო ამოცანები ორგვარი ფორმების შემცველი სფეროსათვის

ი. ცაგარელი, ლ. ბიწაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო, lamarabitsadze@yahoo.com

ნაშრომში განხილულია დრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის სამგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანები ორგვარი ფორმების შემცველი სხეულებისათვის და სფეროსათვის აგებულია დირიხლეს და ნეიმანის სასაზღვრო ამოცანების ცხადი ამონახსნები. ამონახსნები წარმოდგენილია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

### ლიტერატურა

1. Khalili N., Valliappan S.: Unified theory of flow and deformation in double porous media, European Journal of Mechanics, A/Solids, **15**, 321-336 (1996).
2. Svanadze M. The boundary value problems of the full coupled theory of poroelasticity for materials with double porosity, PAMM, Proc. Appl. Math. **12**, 279-282, DOI 10.1002/pamm.201210130.
3. Basheleishvili M., Tsagareli I., Effective solution of the basic BVPs of the elasticity theory for a sphere, Bull.of the Acad of Sciences of the Georgian SSR, 108, N 1, 41-44(1982).
4. Basheleishvili M., Bitsadze L. The basic BVPs of the theory of consolidation with double porosity for the sphere. Bulletin of TICMI, vol.16, No. 1, 15-26 (2012)
5. Basheleishvili M., Bitsadze L., Solution of the third and fourth BVPs of the theory of consolidation with double Porosity for the sphere, Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, reports, **36-37**, 5-15 (2010-2011)

# იტერაციული მეთოდის ცდომილება ბოლის არაპარტოზაროვანი ძეგლის განტოლებებისათვის

ზვიად წიკლაური  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო, zviad\_tsiklauri@yahoo.com

განვიხილოთ საწყის-სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრირ-დიფერენციალური განტოლებისთვის [1]:

$$u_{tt}(x,t) + \delta u_t(x,t) + \gamma u_{xxxx}(x,t) + \alpha u_{xxxx}(x,t) - \left( \beta + \rho \int_0^L u_x^2(x,t) dx \right) u_{xx}(x,t) - \sigma \left( \int_0^L u_x(x,t) u_{xt}(x,t) dx \right) u_{xx}(x,t) = f(x,t), \quad 0 < x < L, \quad 0 \leq t \leq T, \quad (1)$$

$$u(x,0) = u^0(x), \quad u_t(x,0) = u^1(x), \quad (2)$$
$$u(0,t) = u(L,t) = 0, \quad u_{xx}(0,t) = u_{xx}(L,t) = 0,$$

სადაც  $\alpha, \gamma, \rho, \sigma, \beta$  და  $\delta$  მოცემული მუდმივებია. მათ შორის პირველი ოთხი დადებითი რიცხვებია, ხოლო  $u^0(x)$  და  $u^1(x)$  საკმარისად გლუვი ფუნქციებია.

ვიყენებთ რა პროექციულ მეთოდსა და სიმეტრიულ სხვაობიან სქემებს, ამონახსნს ვუახლოვდებით სივრცითი და დროითი ცვლადებით.

ამრიგად, ამოცანა დაიყვანება არაწრფივ დისკრეტულ განოლებათა სისტემაზე.

იტერაციული მეთოდის საშუალებით მტკიცდება იტერაციული პროცესის კრებადობა. (1)-(2) ამოცანის კერძო შემთხვევა შესწავლილია [2]-ში.

## ლიტერატურა

1. J. M. Ball, Stability theory for an extensible beam. *J. Differential Equations* **14** (1973), 399-418.
2. G. Papukashvili, J. Peradze, Z. Tsiklauri, On a stage of a numerical algorithm for a Timoshenko type nonlinear equation. *Proc.A. Razmadze Math. Inst.* **158** (2012), 67-77.

**კონფოკალური ელიფსური რბოლის დრეკადი  
წონასწორობის მოსაძებნი ერთი მეთოდის შესახებ**

ნური ხომასურიძე†, ნათელა ზირაქაშვილი  
\*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი  
მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო  
natzira@yahoo.com

ელიფსისა და მისი შესაბამისი გარე ამოცანებისათვის დრეკადობის თეორიის შიგა და გარე ამოცანების ანალიზური (ზუსტი) ამონახსნების გამოყენებით, იგება დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნები კონფოკალური ელიფსური რბოლისა და მისი ნაწილებისათვის.

**ფენოვანი პრიზმული ბარსების მოდელის შესახებ**

გიორგი ჯაიანი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო

ი. ვეკუას რედუქციის მეთოდის გამოყენებით აგებულია ორი ტიპის იერარქიული მოდელი დრეკადი  $n$ -ფენიანი პრიზმული გარსებისათვის. ყოველი ფენისათვის ვაგებთ იერარქიულ მოდელს. ვთვლით რა ცნობილად ძაბვის ვექტორებს განსახილველი სხეულის პირით ზედაპირზე და ორივე მოდელის აგებისას, აღნიშნულ ზედაპირებზე გადაადგილებების მნიშვნელობებს ვანგარიშობთ რა მათი ფურიე-ლეჟანდრის მწკრივებად (უცნობი კოეფიციენტებით) სისქის ცვლადის მიმართ გაშლიდან პირველ და ბოლო ფენაში. პირველი ფენისათვის  $X_{ij}$  ძაბვისა და  $u_i$  გადაადგილებების მნიშვნელობებს პირველ და მეორე ფენას შორის ინტერფეისზე ვითვლით მათი ფურიე-ლეჟანდრის მწკრივებიდან (უცნობი კოეფიციენტებით) პირველი ფენისათვის.

პირველი ტიპის იერარქიული მოდელების შემთხვევაში მეორე ფენისათვის დაბეჭდვისა და გადაადგილებების მნიშვნელობებს პირველ ინტერფეისზე ვითვლით პირველი ფენისათვის მიღებული ამონახსნიდან, ხოლო მეორე და მესამე ფენას შორის ინტერფეისზე მათ მნიშვნელობებს ვითვლით მათი ფურიე-ლეჟანდრის მწკრივებიდან (უცნობი კოეფიციენტებით) მეორე ფენისათვის და ა.შ. ბოლო ფენისათვის  $(n-1)$ -ე ინტერფეისზე მათ მნიშვნელობებს ვითვლით  $(n-1)$ -ე ფენისათვის მიღებული ამონახსნიდან. ასე რომ  $k$ -ური,  $k = \overline{2, n-1}$ , ფენისთვის

$$\begin{aligned} & \left( u_j^k, X_{ij}^k \overset{(+)}{v_{ki}} \right) (x_1, x_2, \overset{(+)}{h_k}(x_1, x_2), t) \\ &= \left( u_j^{k-1}, -X_{ij}^{k-1} \overset{(-)}{v_{k-1i}} \right) (x_1, x_2, \overset{(-)}{h_{k-1}}(x_1, x_2), t) \\ &= \sum_{l=0}^{\infty} (-1)^l a_2 \left( l + \frac{l}{2} \right) \left( u_{jl}^{k-1}, -X_{ijl}^{k-1} \overset{(-)}{v_{k-1i}} \right) (x_1, x_2, t), \quad k = \overline{2, n-1}, \quad (1) \end{aligned}$$

[აქ, ფიქსირებული  $k$ -სთვის,  $(u_{jl}^{k-1}, -X_{ijl}^{k-1} \overset{(-)}{v_{k-1i}})$ ,  $k = \overline{2, n-1}$ , ცნობილი ხდება  $(k-1)$ -ე ფენისათვის სასაზღვრო (საწყის-სასაზღვრო) ამოცანების ამოხსნის შემდეგ, სადაც  $u_{jl}^k, X_{ijl}^k$

ე.წ.  $l$  რიგის მათემატიკური მომენტებია,  $v_k$   $k$ -ური ფენის გა-  
რე ნორმალია  $x_3 = \overset{(+)}{h_k}(x_1, x_2)$  პირითი ზედაპირებისადმი; შევ-  
ნიშნოთ, რომ  $h_k = \overset{(+)}{h_{k-1}} \overset{(-)}$ ] და უცნობი  $u_{jl}^k, X_{ijl}^k$  კოეფიციენტებით

$$\begin{aligned} & \left( u_j^k, X_{ij}^k \overset{(-)}{v_{ki}} \right) (x_1, x_2, \overset{(-)}{h_k}(x_1, x_2), t) \\ &= \sum_{l=0}^{\infty} (-1)^l a_2 \left( l + \frac{l}{2} \right) \left( u_{jl}^k, X_{ijl}^k \overset{(-)}{v_{ki}} \right) (x_1, x_2, t), \quad k = \overline{2, n-1}. \quad (2) \end{aligned}$$

სასაზღვრო და საწყის პირობებს ჩვენ ვწერთ ზემოხსენებული მომენტების ტერმინებში ყოველი ფენისათვის. ამდენად, მივიღებთ გადაბმულ მმართველ სისტემებს მთელი კონ-

სტრუქციისათვის მის პროექციაზე  $x_3 = 0$  სიბრტყეში. დაწყებული პირველი ფენიდან, ყოველი ფენისათვის ცალ-ცალკე ვხსნით სასაზღვრო (საწყის-სასაზღვრო) ამოცანას  $u_{jl}^k$ -ის მიმართ, ვიყენებთ რა წინა ფენისათვის მიღებულ ამონახსნებს, როცა  $k > 2$ . მეორე ტიპის მოდელებისათვის ჩვენ ვიყენებთ (1), (2) დამოკიდებულებებს მხოლოდ ძაბვებისათვის და

$$u_j^k(x_1, x_2, h_k(x_1, x_2), t) = \sum_{l=0}^{\infty} (\pm 1)^l a_2 \left( l + \frac{l}{2} \right) u_{jl}^k(x_1, x_2, t), k = \overline{2, n-1}, (3)$$

დამოკიდებულებებს გადაადგილებებისათვის. ბოლო  $n$ -ური ფენისთვის ვიყენებთ (1)-ს მხოლოდ ძაბვებისთვის და (3)-ს. იერარქიული მოდელების  $N$ -ურ,  $N=0, 1, \dots$ , მიახლოებაში ვთვლით, რომ ყველა მომენტი ნულის ტოლია, როცა  $l > N$ . ჩატარებულია ამ ორი ტიპის მოდელის შედარებითი ანალიზი.

**მადლობა.** ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის #30/28 გრანტის ფარგლებში.

**მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი სასაზღვრო  
ამოცანის მიახლოებითი ამონახსნის  
აბგზის ერთი ვარიანტის შესახებ**

რომან ჯანჯღავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი,

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო, roman.janjgava@gmail.com

მოსხენებაში შემოთავაზებულია მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნის აგების ერთი-ერთი ხერხი. ამ ხერხით ამოხსნილია რამდენიმე კლასიკური და არალოკალური ამოცანა ლაპლასის

და ჰელმჰოლცის, ასევე დრეკადობის თეორიის ორგანო-ზომილებიანი განტოლებებისთვის. მიღებული შედეგები შედარებულია შესაბამისი ამოცანების როგორც ზუსტ ანალიზურ ამონახსნებთან, ასევე ფუნდამენტალურ ამონახსნთა მეთოდით მიღებულ მიახლოებით ამონახსნებთან.

**უსასრულო ფოროვანი ფირფიტისა და გარემომცველი სითხის ერთობლივი ბრუნვის არასტაციონარული ამოცანა ცვლადი გამოჟონვის სიჩქარისა და ელექტროგამტარებლობის შემთხვევაში მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის ბათვალისწინებით**

ლევან ჯიქიძე, ვარდენ ცუცქირიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო, [levanjikidze@yahoo.com](mailto:levanjikidze@yahoo.com),  
[b.tsutskiridze@mail.ru](mailto:b.tsutskiridze@mail.ru)

მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით შესწავლილია უსასრულო ფოროვანი ფირფიტისა და გარემომცველი სითხის ერთობლივი ბრუნვის არასტაციონარული ამოცანა მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინე-

ბით ცვლადი ელექტროგამტარებლობისა  $\sigma = \sigma_0 \left(1 - \frac{T}{T_\infty}\right)$

და გამოჟონვის სიჩქარის  $\nu_w = \nu_0 \left(1 - \frac{T}{T_\infty}\right)$  შემთხვევაში.

დინამიკური და სითბური სასაზღვრო ფენათა სისქეების განსასაზღვრავად მიღებულია შესაბამისი დიფერენციალური განტოლებები და ჩაწერილია მათი ზუსტი ამოხსნები ზოგიერთ კერძო შემთხვევაში, როდესაც გამოჟონვის სიჩქარე იცვლება სხვადასხვა კანონით და სასაზ-



ღვრო ფენათა სისქეებს შორის არსებობს  $\delta_T(t) = \gamma\delta(t)$  სახის დამოკიდებულება.

გამოთვლილია დინების ყველა ფიზიკური მახასიათებელი.

# CONTENTS

<b>A. Aptsiauri</b> The equation of entropy production for opensystems as a theoretical basis of energy generation from the equilibrium environment	3
<b>M. Bediashvili</b> Ancient antiseismic construction methods in Georgia	4
<b>R. Botchorishvili</b> Numerical schemes for linear advection equation	5
<b>A. Bregvadze, L. Sitchinava, T. Tchanturia</b> Numerical modeling of the coastline dynamics and its engineering aspects	6
<b>Kh. Chargazia, O. Kharshiladze, G. Zimbardo</b> Self-Preservation of ULF electromagnetic wave structures in the magnetotail with BBF flow: data analysis	7
<b>N. Chinchaladze</b> On some methods for calculating cusped prismatic shells	8
<b>K. Ckhikvadze, S. Nizharadze, L. Qadjaia</b> Mechanical supporting ring structure for a conical parabolic reflector	10
<b>G. Gabrichidze</b> Order and disorder	11
<b>V. Gogadze</b> The use of double cylindrical links in crane-transport and moto-transport machines	12
<b>B. Gulua</b> Solution of boundary-value problems of plates by the Vekua method for approximations $N = 1$ And $N = 2$	12
<b>A. Hasanoglu (Hasanov)</b> Some new classes of inverse coefficients in nonlinear mechanics and computational material science	13

<b>G. Jaiani</b>	
On models of layered prismatic shells	14
<b>R. Janjgava</b>	
About one variant of construction of approximate solutions of some boundary value problems of mathematical physics	16
<b>L. Jikidze, V. Tsutskiridze</b>	
Unsteady simultaneous rotation problem of the infinite porous plate and surrounding fluid with account of magnetic field and heat transfer in case of variable electric conductivity and injection velocity	16
<b>R. Kakhidze</b>	
Calculation of reinforced concrete thin-walled structures	17
<b>M. Kalabegashvili, D. Tabatatadze, K. Iasvili</b>	
The examination of rectangular in plan shallow shells and plates at supports settlement by consideration of material creeping	19
<b>G. Kapanadze</b>	
The plane problem of the theory of elasticity for a polygonal domain with a rectilinear cut	20
<b>N. Khomasuridze<sup>†</sup>, N. Zirakashvili</b>	
On a method for determining the elastic equilibrium of a confocal elliptic ring	21
<b>G. Kipiani, M. Losaberidze</b>	
Perturbation of the orthotropic half-plane under action of the loading moving with constant velocity along the boundary	21
<b>S. Kukudzhanov</b>	
On the termooscillations of beforehand stressed shells of revolution, close by their form to cylindrical ones, with an elastic filler	22
<b>B. Maistrenko, J. Rogava, K. Shashiashvili</b>	
On the construction of the algorithm of the numerical computation for one-dimensional hierarchical model of cusped prismatic shells	23

<b>L. Makharadze, M. Losaberidze, S. Steriakova</b>	
Algorithms and computer software for discharge hydraulic transport systems safe operation for definition of optimal values of mechanical-pneumatic dampers operational and construction parameters	25
<b>Tamar Meunargia</b>	
On the refined theories of elastic plates	26
<b>Tengiz Meunargia</b>	
On the nonlinear theory of non-shallow shells	26
<b>W. H. Müller</b>	
The movement of the earth: analytical and numerical simulations	27
<b>D. Natroshvili</b>	
Regularity of solutions to mixed interface crack problems	28
<b>G. Nozadze, M. Losaberidze, N. Khomasuridze<sup>†</sup></b>	
Equivalent representation of some boundary value problems of linear elasticity by means of superposition of relatively simple boundary value problems	29
<b>A. Papukashvili, J. Rogava, Z. Vashakidze</b>	
On the numerical solution of contact problem for poissons and Kirchhoff equation system	30
<b>D. Pataraiia, E. Tsotseria, A. Kartvelishvili, R. Maisuradze</b>	
Some issues of modeling and calculation of cable-rod structures	32
<b>J. Peradze</b>	
The error of a solution of a nonlinear static beam problem	33
<b>L. Shapakidze</b>	
On the instability and transition to turbulence of flows between permeable cylinders	34
<b>N. Shavlakadze</b>	
The solution of contact problems of viscoelasticity for plates with elastic inclusion	35

<b>I. Tsagareli, L. Bitsadze</b>	
Solution of BVPs In the full coupled theory of elasticity for a sphere with double porosity	35
<b>Z. Tsiklauri</b>	
An error of the iteration method for a ball nonhomogeneous beam equation	36
<b>T. Vashakmadze</b>	
On the application of complex and numerical analyses for some models corresponding to Karman type refined theories	38

# სარჩევი

## ა. აფციაური

ენტროპიის წარმოშობის დიფერენციალური განტოლება და სისტემებისათვის, როგორც წონასწორული გარემოდან ენერჯიის მიღების თეორიული საფუძველი 39

## ბ. ბედიაშვილი

საქართველოში მშენებლობაში გამოყენებული ანტისეისმური ღონისძიებები 40

## რ. ბოჭორიშვილი

რიცხვითი მეთოდები წრფივი ადვექციის განტოლებისთვის 42

## ა. ბრეგვაძე, ლ. სიჭინავა, თ. ჭანტურია

ზღვის სანაპირო ზოლის დინამიკის რიცხვითი მოდელირება და მისი საინჟინრო ასპექტები 42

## გ. გაბრიჩიძე

წესრიგი და უწესრიგობა 44

## ვ. გოგაძე

ორმაგი ცილინდრული სახსრების გამოყენება ამწესატრანსპორტო და საგზაო მანქანებში 44

## დ. გორგიძე, ზ. სირაძე

მრავალფენიანი სქელი ფილის ღუნვის ამოცანა თერმული ვეილს გათვალისწინებით 46

## ბ. გულუა

ვეკუას მეთოდით  $N=1$  და  $N=2$  მიახლოებისათვის ძირითადი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა 47

## თ. ვაშაყმაძე

კარმანის ტიპის დაზუსტებულ თეორიათა შესაბამისი ზოგიერთი მოდელისათვის კომპლექსური ცვლადის ფუნქციითა თეორიისა და რიცხვითი ანალიზის გამოყენების შესახებ 47

<b>გ. კაპანაძე</b> დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა სასრული მრავალკუთხა არისათვის წრიული ხვრელით	48
<b>რ. კახიძე</b> რკინაბეტონის თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშება	49
<b>ა. კუკუჯანოვი</b> წინასწარ დაძაბული, დრეკად შემავსებლიანი ცილინდრული ფორმასთან მიახლოებული ბრუნვითი გარსების თერმო რხევები	50
<b>ბ. მაისტერენკო, ჯ. როგავა, კ. შაშიაშვილი</b> წამახვილებული პრიზმული გარსის იერარქიული მოდელების ერთგანზომილებიანი კერძო შემთხვევისათვის რიცხვითი გათვლის ალგორითმის აგების შესახებ	51
<b>ლ. მახარაძე, მ. ლოსაბერიძე, ს. სტერიაკოვა</b> ალგორითმები და კომპიუტერული პროგრამა სადაწნო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციის მექანოპნემატური დემპფერების მუშა და კონსტრუქციული პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრისათვის	54
<b>თამარ მეუნარგია</b> დრეკადი ფირფიტების დაზუსტებული თეორიების შესახებ	55
<b>თენგიზ მეუნარგია</b> არაღამრეცი გარსების არაწრფივი თეორიის შესახებ	56
<b>დ. ნატროშვილი</b> შერეული ტრანსმისიის ამოცანების ამონახსნების სიგლუვის შესახებ	56
<b>გ. ნოზაძე, მ. ლოსაბერიძე, ნ. ხომასურაძე†</b> წრფივი დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ეკვივალენტური წარმოდგენა რამოდენიმე შედარებით მარტივი სასაზღვრო ამოცანის სუპერპოზიციით	57

<b>ა. პაპუკაშვილი, ჯ. როგავა, ზ. ვაშაკიძე</b> პუასონისა და კირჰხოფის განტოლებათა სისტემისთვის საკონტაქტო ამოცანის რიცხვითი ამოხსნის შესახებ	59
<b>დ. პატარაია, ე. წოწერია, ა. ქართველიშვილი, რ. მაისურაძე</b> ბაგირ-დეროვანი სტრუქტურების მოდელირებისა და გაანგარიშების ზოგი საკითხი	60
<b>ჯ. ფერაძე</b> არაწრფივი სტატიკური ძელის ამოცანის ამოხსნის ცდომილება	62
<b>მ. ყალაბეგაშვილი, დ. ტაბატაძე, კ. იაშვილი</b> გეგმაში მართკუთხა დამრეცი გარსებისა და ფილების გამოკვლევა საყრდენთა ჯდენისას მასალის ცოცვალობის გათვალისწინებით	63
<b>გ. ყიფიანი, მ. ლოსაბერიძე</b> საზღვრაზე მუდმივი სიჩქარით მოძრავი დატვირთვით გამოწვეული ორთოტროპული ნახევარსიბრტყის შეშფოთება	65
<b>ნ. შავლაყაძე</b> ბლანტიდრეკადობის საკონტაქტო ამოცანების ამოხსნა დრეკადი ჩართვის მქონე ფირფიტებისათვის	66
<b>ლ. შაფაქიძე</b> ფოროვან ცილინდრებს შორის სითხის დინებების არამდგრადობისა და ტურბულენტობაში გადასვლის შესახებ	67
<b>ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე, გ. ზიმბარდო</b> უდს ელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების თვითშენარჩუნება მაგნიტოსფეროს კუდში BBF დინებისას: მონაცემთა ანალიზი	68



<b>კ. ჩხიკვაძე, შ. ნიჟარაძე, ლ. ქაჯაია</b> მექანიკური ძალოვანი რგოლის კონსტრუქცია პარაბოლური კონუსური რეფლექტორისათვის.	70
<b>ნ. ჩინჩალაძე</b> წამახვილებული პრიზმული გარსების გათვლის ზოგიერთი მეთოდის შესახებ	71
<b>ი. ცაგარელი, ლ. ბიწაძე</b> დრეკადობის ბმული თეორიის სასაზღვრო ამოცანები ორგვარი ფორმების შემცველი სფეროსათვის	73
<b>ზ. წიკლაური</b> იტერაციული მეთოდის ცდომილება ბოლის არაერთგვაროვანი ძელის განტოლებისათვის	74
<b>ნ. ხომასურიძე†, ნ. ზირაქაშვილი</b> კონფოკალური ელიფსური რგოლის დრეკადი წონასწორობის მოსაძებნი ერთი მეთოდის შესახებ	75
<b>გ. ჯაიანი</b> ფენოვანი პრიზმული გარსების მოდულების შესახებ	75
<b>რ. ჯანჯღაღა</b> მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამონახსნის აგების ერთი ვარიანტის შესახებ	77
<b>ლ. ჯიქიძე, ვ. ცუცქირიძე</b> უსასრულო ფოროვანი ფირფიტისა და გარემომცველი სითხის ერთობლივი ბრუნვის არასტაციონარული ამოცანა ცვლადი გამოჟონვის სიჩქარისა და ელექტროგამტარებლობის შემთხვევაში მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით	78

The selection and presentation of material and opinion expressed in this publication are the sole responsibility of the authors concerned.

**English Editor:** Ts. Gabeskiria

**Technical editorial board:** M. Sharikadze  
M. Tevdoradze

ინგლისურის რედაქტორი: ც. გაბესკირია

ტექნიკური სარედაქციო კოლეგია: მ. თევდორაძე  
მ. შარიკაძე

ტირაჟი: 100 ეგზემპლარი